# ხელშეკრულება № 137
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ცაგერი　　　　　　　　　　　　　　　　　　30 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცაგერის მუნიციპალიტეტი (შემდგომში-შემსყიდველი) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ უგრეხელიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ნანა გოგოჭური" (შემდგომში – მიმწოდებელი) ნანა გოგოჭურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით **(კულტურული ღონისძიების ხარჯებიდან) სასტუმროს მომსახურეობა (კლასიფიკატორის კოდი 55100000)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ს[1]" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია **სასტუმროს მომსახურეობის შესყიდვა (პროექტი „კარვერი ლუქსში" გამარჯვებული ბავშვების და მასწავლებლების ) 23 ადამიანზე.**

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში .

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **460 (ოთხასსამოცი) ლარს.**

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2018 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:სოფ.მატილი

5.3. შესყიდვისა ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2018 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2018 წლის 10 სექტემბრამდე.**

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. დაუძლეველი ძალა*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. **ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი - გიორგი კვირიკაშვილი; ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მაყვალა კოპალიანი;**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| ცაგერის მუნიციპალიტეტი | ი/მ „ნანა გოგოჭური“ |
| მისამართი | მისამართი |
| ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№58 | დუშეთის რაიონი.სოფ.შატილი |
| სახელმწიფო ხაზინა | სს „თიბისი ბანკი“ |
| სახ/კოდი: TRESGE22 | ბ/კ: TBCBGE22 |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში | ა/ა №GE32TB7220645063600025 |
| ს/კოდი: 242 574 460 | პ/ნ: 16001009347 |

## 17. მხარეთა ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი: | ი/მ „ნანა გოგოჭური“ |
| ა.უგრეხელიძე | ნ.გოგოჭური |
| /-----------------------/ | /-----------------------/ |